სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბრძანება № NCDC 1 23 00000059

ქ. თბილისი 15/05/2023 **წელი**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

"საქართველოს შრომის კოდესი" საქართველოს ორგანული კანონის მე-23 მუხლის და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" და "რ" ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანდართული შრომის შინაგანაწესი.

2. დაევალოთ:

ა) ცენტრის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (კ. ოჩიგავა, თ. ჟვანია) გააცნონ თანამშრომლებს შრომის შინაგანაწესი და განათავსონ თვალსაჩინო ადგილას.

ბ) ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ. ებანოიძე) შრომის შინაგანაწესი განათავსოს ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.ncdc.ge.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2021 წლის 26 ნოემბრის #06-252/ო ბრძანება.

4. ბრძანება ამოქმედდეს 2023 წლის პირველი ივნისიდან.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
თამარ გაბუნია

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად